ეროვნული საგანმანათლებლო უნივერსიტეტი

სტუდენტთა/კურსდამთავრებულთა დახმარებისა და კარიერული განვითარების ცენტრის დებულება

დამტკიცებული:

სენატის სხდომის ოქმი N8.

თარიღი: 05.04.2023 წ.

დადგენილება 22.

ცვლილება:

სენატის სხდომის ოქმი N1.

თარიღი: 15.01.2025 წ.

დადგენილება N14

მუხლი 1. დებულების მოქმედების სფერო

1.1. „ნეუ - ეროვნული საგანმანათლებლო უნივერსიტეტის“ (შემდგომში „უნივერსიტეტი“) სტუდენტთა/კურსდამთავრებულთა დახმარებისა და კარიერული განვითარების ცენტრი (შემდგომში „ცენტრი“) წარმოადგენს უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულს.

1.2. ცენტრი საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობით, უნივერსიტეტის დებულებით, წინამდებარე დებულებითა და სხვა სამართლებრივი აქტებით.

მუხლი 2. ცენტრის მიზნები და ფუნქციები

2.1. ცენტრის მიზანია უნივერსიტეტის სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების კარიერული ზრდის ხელშეწყობა, დასაქმებისთვის აუცილებელი ზოგადი უნარჩვევების განვითარება, რაც დაეხმარება ახალგაზრდებს შრომის ბაზარზე თავის დამკვიდრებაში და შესაბამისად, პროფესიულ და სოციალურ რეალიზაციაში.

2.2. ცენტრის ფუნქციებია:

ა. სტუდენტების/კურსდამთავრებულების ხელშეწყობა (დახმარება სამუშაოს მიზნისა და მოლოდინების სწორად დასახვაში, ინტერვიუს უნარების განვითარება და სამუშაოს ძიების სტრატეგიების გაცნობა, რეზიუმეს შედგენა - მოდიფიკაციის სწავლება, დამსაქმებელთან გასაუბრებისათვის მომზადება და სხვ.);

ბ. სტუდენტების/კურსდამთავრებულების ინფორმირება შრომის ბაზრის დინამიკასა და პერსპექტივებზე. მათთვის კონსულტაციების გაწევა შრომის ბაზრის მიმდინარე თუ სამომავლო მოთხოვნებთან დაკავშირებით;

გ. დასაქმებისთვის აუცილებელი უნარ - ჩვევების განვითარების მიზნით სტუდენტებისთვის/კურსდამთავრებულებისთვის რეგულარული ტრენინგების შეთავაზება;

დ. სტუდენტების/კურსდამთავრებულების დახმარება პროფესიულ ორიენტაციასა და თვითგამორკვევაში, პრიორიტეტების განსაზღვრაში და საკუთარი განათლებისა და კარიერის სწორად წარმართვაში;

ე. სტუდენტების/კურსდამთავრებულების დახმარება დამსაქმებლებთან ურთიერთობაში და ამ მიზნით კონკრეტული თემატური ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება;

ვ. დამსაქმებლებთან მჭიდრო თანამშრომლობა სტუდენტების დასაქმების ხელშეწყობის, სასწავლო პროცესთან დამსაქმებელთა მეტად დაახლოებისა და სასწავლო პროგრამების შემუშავებასა და განხორციელებაში მათი ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით;

ზ. დასაქმების ინტერნეტ საიტებზე არსებული ვაკანსიების რაოდენობრივი და თვისებრივი ანალიზი შრომის ბაზრის დინამიკასა და ტენდენციებზე დაკვირვებისა და აქტიური დამსაქმებლების გამოვლენის მიზნით;

თ. შრომის ბაზრისა და დასაქმების საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო თუ საერთაშორისო ორგანიზაციებთან, სახელმწიფო სტრუქტურებთან თანამშრომლობა და ინფორმაციის გაცვლა;

ი. შრომის ბაზრის შესწავლა, როგორც სტუდენტების, ასევე დამსაქმებლების პერიოდული გამოკითხვა ადამიანურ რესურსებზე მოთხოვნა - მიწოდებაზე დაკვირვების მიზნით;

2.3. კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგები ტარდება ცენტრის შიდა რესურსით. ცენტრმა სფეციფიკური ტრენინგების ჩასატარებლად, შესაძლებელია, პერიოდულად მოიწვიოს ექსპერტები სხვადასხვა ორგანიზაციიდან;

2.4. ცენტრი პერიოდულად აწყობს შეხვედრებს კონკრეტულ დამსაქმებლებთან. სტუდენტებს/კურსდამთავრებულებს აქვთ შესაძლებლობა დაასახელონ მათთვის საინტერესო დამსაქმებლები და ცენტრი დაგეგმავს შეხვედრებს უნივერსიტეტში ამ კომპანიების ხელმძღვანელებთან;

2.5. დამსაქმებლებთან ერთად ცენტრი პერიოდულად აწყობს სხვადასხვა წამახალისებელ თუ საინფორმაციო ღონისძიებებს, შეხვედრებს, სემინარებს, სტუდენტთა და დამსაქმებელთა დაახლოებისა და მათ შორის ინფორმაციის გაცვლის ხელშეწყობის მიზნით;

2.6. ცენტრი დიდ ყურადღებას უთმობს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სტუდენტების/კურსდამთავრებულების, ასევე სხვა მოწყვლადი ჯგუფების (სოციალურად დაუცველი, დევნილი ოჯახები და სხვა) დასაქმების ხელშეწყობას;

2.7. ცენტრი ცალკე აღრიცხავს 2.6. პუნქტში მითითებულ სტუდენტებს/კურსდამთავდებულებს და მათთვის შეიმუშავებს პერსონალიზებულ მიდგომებს დამსაქმებელთან ინდივიდუალური მუშაობის გზით (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

2.8. ცენტრი ყოველწლიურად წარუდგენს ანგარიშს სტატისტიკური მონაცემებით უნივერსიტეტის რექტორს. ანგარიშის მიზანია დეტალურად წარმოაჩინოს ცენტრის საქმიანობის შედეგები;

2.9. მონაწილეობა ბიუჯეტის ფორმირებაში.

მუხლი 3. ცენტრის სტრუქტურა

3.1. ცენტრს მართავს ცენტრის ხელმძღვანელი.

3.2. ცენტრის ხელმძღვანელს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს რექტორი.

3.3. ცენტრის ხელმძღვანელის დროებით არყოფნის (შვებულება, მივლინება, ავადმყოფობა, დროებით - 2 (ორი)

დღეზე მეტი ვადით არ ყოფნა) შემთხვევაში მის მოვალეობას დროებით ასრულებს უნივერსიტეტის სხვა თანამშრომელი რექტორის შესაბამისი ბრძანების თანახმად.

მუხლი 4. ცენტრის ხელმძღვანელი

4.1. ცენტრის ხელმძღვანელი უზრუნველყოფს:

ა. ცენტრის მუშაობის კოორდინირებას;

ბ. ცენტრის მუშაობის პრიორიტეტების დასახვას და მათ განსახორციელებლად კონკრეტული საქმიანობებისა და ღონისძიებების დაგეგმვას და ორგანიზებას;

გ. რეგულარული ტრენინგების გეგმის შედგენას (საკუთარი სამოქმედო გეგმა), რომლებიც ცენტრმა წლის მანძილზე უნდა შესთავაზოს სტუდენტებს/კურსდამთავრებულებს;

დ. კონსულტაციების გაწევას სტუდენტებისთვის/კურსდამთავრებულებისთვის პროფესიული ორიენტაციისა და დასაქმების საკითხებზე, მათ სწორ პოზიციაზე განთავსებას მათივე კარიერული მიზნების გათვალისწინებით;

ე. დამსაქმებელთა ერთიანი მონაცემთა ბაზის შექმნას, ორგანიზაციების ხელმძღვანელებისა და ადამიანური რესურსების მენეჯერების დეტალური საკონტაქტო ინფორმაციით;

ვ. დამსაქმებლებთან ურთიერთობის კოორდინირებას, რეგულარული კონტაქტების დამყარებას დამსაქმებლებთან ინფორმაციის გაცვლის მიზნით;

ზ. სტუდენტების/კურსდამთავრებულთა მონაცემთა გადაგზავნას კონკრეტულ ვაკანსიებზე, ასევე მათთვის სტაჟირებისა თუ დასაქმების სხვა შესაძლებლობების მოძიებას;

თ. შრომის ბაზრის დინამიკის რეგულარულ ანალიზს, არსებული ვაკასიების მონიტორინგს;

ი. დამსაქმებლებთან ურთიერთობაში სტუდენტების/კურსდამთავრებულების დახმარებასა და ხელშეწყობას;

კ. დამსაქმებლებთან მიზნობრივი შეხვედრების მოწყობას;

ლ. ახალი პროექტების, იდეების შემუშავებას და განხორციელებას, დონორებისა და პარტნიორი ორგანიზაციების მოძიებას;

მ. ეფექტური და ოპერატიული კომუნიკაციის უზრუნველყოფას როგორც უნივერსიტეტის სტრუქტურებთან და სტუდენტებთან/კურსდამთავრებულებთან, ასევე პარტნიორ ორგანიზაციებთან;

ნ. სკოლის დეკანისათვის ინფორმაციის გაზიარებას და მასთან თანამშრომლობა მოსაზრებების, რეკომენდაციების გაზიარების გათვალისწინების მიზნით;

ო. მონაწილეობს უნივერსიტეტის ბიუჯეტის ფორმირების პროცესში.

მუხლი 5. გარდამავალი და დასკვნითი დებულებები

5.1. წინამდებარე დებულებას ამტკიცებს უნივერსიტეტის სენატი;

5.2. უნივერსიტეტის წინამდებარე დებულება მოქმედებს ხელმოწერისთანავე;

5.3. დებულების მიღება, გაუქმება, ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება სენატის მიერ;

5.4. წინამდებარე დებულება ძალას კარგავს ახალი დებულების დამტკიცების შემთხვევაში.